პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 30 აპრილი 1925 წელი.

ბინდბანდური

ფასი 5 მან. ფაურა

№ 8—(11) გაზ. „ეუუა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 8—(11)

ჩვენში მარადის ასე იქნება,
ასე იქნეაა იქაც სულ მალე.

მთელი სამყარო გარდაიქმნება,
თუ კი მაისის მზეა მხურვალე.

ჩვენი სოფელი

(ტარტაროზის მოხსენება სრულიად საქართველოს ყრილობაზე)

საკითხი პირდაპირ

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებას მე დავიწყებ თავიდან და გავათავებ ბოლოში.

მე არ მჩვევია ისე, როგორც ეხლახდელ ყველა ჩვენს ორატორებს, რომლებიც ხშირად ბოლოდან იწყებენ და ათავებენ თავში; არც ისე, რომ წინასიტყვაობას მოვანდომო ორი და მოხსენებას ნახევარი საათი.

მაშასადამე, მე პირდაპირ უდგები საკითხს.

„მაკრატელი“ და „სმიჩკა“

მაშინ არც კი ვიყავი ამ ქვეყნად მოსული, როცა აქ „მაკრატელი“-ს პოლიტიკა იყო; ეს პოლიტიკა ცდილობდა ქალაქის და სოფლის დაახლოვებას.

ეს თავისთავად კარგი საქმეა, მაგრამ „მაკრატელმა“ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, რადგან არ იყო გარკვეული:— **სოფელი უნდა დაახლოვებოდა ქალაქს, თუ, პირიქით, ქალაქი სოფელს.**

„**მაკრატელი**“ იგივე „**სმიჩკა**“ არის. პირველ ხანებში ჩვენს გლეხობას „**სმიჩკა**“— **სემიჩკა** ეგონა. იმათ იფიქრეს:—თუ კი ქალაქი სემიჩკას (სმიჩკა) გვთხოვს—ჩვენ ამას მივსცემთ, თუ კი ჩვენი მდგომარეობა გამოსწორდება ამით.

გაიტანეს ბაზარზე სემიჩკის მთელი მარაგი (სემიჩკას რუსეთის ქალაქებში პურზე მეტი მოთხოვნილება აქვს. ჩვენშიც არანაკლები ამჟამად). მოთხოვნილება მალე დაკმაყოფილდა და ფასიც დაეცა. ამან გამოიწვია გლეხებს შორის ეგრეედწოდებული პოლიტიკა: **ზურგი ქალაქისაკენ.**

ამგვარად, ვერ მოხერხდა სავსებით სოფლის და ქალაქის დაახლოვება.

მაგრამ ეხლა არის ახალი პოლიტიკა

საჭირო იყო რაიმე შესაფერი ზომებს მიღება ამ მდგომარეობის მოსაგვარებლათ და **გამოსასწორებლათ**, რისთვისაც ჩვენ გადმოვისროლეთ ლოზუნგი;

„პირი სოფლისაკენ“.

პირველ ხანებში სოფელი ამ ლოზუნგსაც ცივათ შეხვდა. ამის მიზეზი იყო ამ სიტყვების ზერელე და გარეგანი მნიშვნელობით გაგება.

„პირი სოფლისაკენ“ სოფელმა გაიგო, თითქოს ქალაქი მას შეჭმას უპირებს.

საბედნიეროთ, ამ გაუგებრობას მალე მოეღო ბოლო და ამჟამად სოფელი და ქალაქი ერთმანეთის დახმარებით შეუდგენ დანგრეულ მეურნეობის აღდგენას.

ამხანაგებო, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ელექტროფიკაციას სოფლის **მეურნეობაში** უპირველესი მნიშვნელობა აქვს დაშიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება ამჟამად მიქცეულია ამ მხრივ.

თუ ქალაქი დღეს აწარმოებს ენერგიულ მუშაობას წარმოების ყველა დარგში და ამით თანდათანობით ვსწევთ შრომას ნაყოფიერებას, სოფელიც არანაკლებ მუშაობაში ჩართული და ამ მხრივ ქალაქს არ ჩამორჩება.

დღეგანდელ სოფლის მუშაობაში ჩვენ ყურადღებას იყპრობს

ელეშტოფიკაცია.

საქართველო მდიდარია წყლებით.

ამ წყლების ძალა აღემატება მთელი საქართველოს ცხენების და ვირების ძალას და ეთანასწორება ინგლისის (ახალშენებით) ჯორების ძალას.

აი, ასეთ მდიდარ საქართველოს სოფლებში დღეს ფიჩხს და კვარს ხმარობენ სინათლისათვის.

მაგრამ ამ ჟამად წყლის გამოყენებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თემ და მაზრალმასკომების მიერ.

სოფელში **ელექტროფიკაცია** გაიგეს **ელეშტოფიკაციათ. განათება** და **განათლება** ერთი და იგივე ეგონათ.

მაშასადამე, თუ კი სოფელი მოაწყობს **ელეშტოფიკაციას** (ანუ ელექტროფიკაციას), ამით, თავისთავად, მოგვარდება ცხოვრების ყველა საკითხები. აღარ იქნება საჭირო სკოლის აგება, სამკითხველოს გახსნა, გზების გაყვანა და ასეთი „წვრილმანი“ საქმე.

ამიტომ, ყველა სოფელი ცდილობს ელექტრო-სადგურის აგებას. სადაც კი არის **ღელე** ანდა მდინარის **შტო**, ყველგან შეუდგენ ელექტროსადგურის აგებას. ჩვენი ქვეყნის მთაგორიანი ბუნება ხელს მეტად უწყობს ამ საქმეს. ყველა წყალვარდნილზე (და ასეთი კი თვითეულ ვერსის მანძილზეა ჩვენში) შესაძლოა ელექტრო სადგურის მოწყობა. რამდენი კლდე არის და ზედ წყარო გადმოსჩქეფს, იმდენი სადგური შეიძლება დაიდგას. ახლო ხანში, სადაც ეხლა წისქვილებია, ყველგან იქნება ელექტრო სადგური და ამით დასრულდება **ელეშტოფიკაცია**, რომელსაც დღეს ყველა სოფელი მთელ თავის ძალღონეს ახმარს ამაოდ.

ამხანაგებო, სოფელი ქალაქს მარტო ამ საქმეში არ უწევს ჯიბრს; სხვა დარგშიც არ ჩამორჩება მას; მაგალითად, ავიღოთ

რ ა დ ი ო,

რომელიც დღეს დიდ ხმარებაშია სოფლად. მეტადრე დედაკაცები არიან გატაცებულნი რადიოთი; ამ მხრივ ისინი ქალაქის მანდილოსნებს მალე დაეწევიან. რადიოს მნიშვნელობა სოფლად უფრო დიდია, ვიდრე ქალაქში, რადგან გაზეთები სოფლად არ იშოვება და ძნელიც არის მათი გავრცელება.

სამაგიეროდ, ყველა სოფელში მოწყობილია

„ცოცხალი გაზეთი“.

და სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი გაზეთების ტირაჟის დაცემა. სოფელი არ ღებულობს გაზეთებს; მართალია, „ელეშტოფიკაციით“ ისე **არის** გატაცებული, რომ ამისათვის მას არც კი სცალია, მაგრამ მსოფლიო ამბების გაგება მაინც აინტერესებს.

მე აქ მოვიყვან სანიმუშოდ შემდეგ მაგალითს:

ამას წინად ვიყავი **ხიდისთავში** (გურია, ოზურგეთის მაზრა). ორი დღე დავრჩი. შევედი სამკითხველოში, რომ გაზეთები წამეკითხა და ახალი ამბები გამეგო. სამკითხველოში ხალხი ბლომად დამხვდა. არც ერთი გაზეთი არ იყო. გამიკვირდა. ვიფიქრე—ალბად ახალ გაზეთს ელოდებიანთქო... შევეკითხე ალმასკომის თავმჯდომარეს:

— კიდევ ბევრი დააგვიანდება?

— რას დააგვიანდა!

— გაზეთების მიღებას?

— რა გაზეთი? რომელი გაზეთი? აქ ჩვენ გაზეთებს კი არ უცდით!

— აბა რას ელოდებით?

— იქნებ ვინმე ქალაქიდან ჩამოვიდეს და ამბებს გამოვკითხავთ; ჩვენ ასე ვგებულობთ ქვეყნის ამბებს.

— ჰკითხე, თვითონ როდის ჩამოვიდა ქალაქიდან?—დაიძახა ვიღაცამ.

— მე ორი დღეა რაც ქალაქიდან ჩამოვედი— უპასუხე.

— ჰოდა, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა; ჩვენც ამას უცდით აქ... აბა, მოჰყევი ახალი ამბები—იგრიალა ყველამ და შემომესიენ.

მეც მოვყევი ჩემთვის ძველისძველს და და მათთვის „ახალ“ ამბებს. მეორე დღეს დედაკაცებიც და ბავშებიც კი ლაპარაკობდენ ჩემს „ახალ ამბებს“: „ცანკოვის აფეთქებას“ და „ერიოს გადადგომას“.

აი, ამხანაგებო, რას ნიშნავს სოფლის მესვეურთა მიზანშეწონილი მუშაობა. ჩვენ თბილისში ვერ მოგვიწყვია „**ცოცხალი გაზეთი**“ და ხიდისთავში ეს ფაქტია. ასე არის თითქმის ყველა ჩვენს სოფლებში.

მართალია, შეიძლება მთელი წლის განმავლობაში ქალაქიდან სოფელს არავინ ესტუმროს და მას არ დაურჩეს „**ცოცხალი გაზეთი**“, მაგრამ ქვეყნის ამბები, რომლებიც ბედისწერისაგან დადგენილია, მაინც მოხდება. მსოფლიო ამბების განვითარებას და მსვლელობას ხელს არ შეუშლის, რომ სოფელმა არ იცოდეს, თუ რა ხდება ქვეყანაზე.

„ცოცხალი გაზეთი“ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ სოფელმა გაიგო. „ცოცხალი“ იმიტომ ჰქვია, რომ ცოცხალმა არსებამ უნდა ამცნოს ხალხს ამ-ზები.

არანაკლებ ყურადღების ღირსია

ბ ზ ე ბ ი.

ჩვენმა სოფელმა წინდაწინვე იგრძნო, რომ ახლო ხანში ტეხნიკა იმდენად განვითარდება, რომ საჭიროდ აღარ იქნება შარა გზები. ამიტომ ხელი აიღო მათ გაყვანა-შეკეთებაზე. ეს, ამხანაგებო, მეტად საღი შესედულებაა. ის შრომა და საღსარი, რომლებიც გზებს დასჭირდება, მოხმარდება ელექტროფიკაციას.

როცა სინათლე იქნება, დანგრეულ გზებზე არავინ დაიმტვრევა, ვინაიდან, თუ კი კაცი ბრმა არ არის, ყოველთვის შეუძლია შეუაროს გზებზე ტალახს ტბას, ლოდებს, და დანგრეულ ადგილებს.

აი, ამხანაგებო, ამნაირია ეხლანდელი ჩვენი სოფლის მდგომარეობა. მათი თემ და მაზრალმასკომების მიზანშეწონილ მუშაობის წყალობით, ჩვენი სოფელი ამ გაზაფხულზე გაფურჩქნულია და ჰყვავის; იგი კოხტად იკაზმება, თითქოს საპატარძლო იყო ჩვენი ქალაქისა. ჩვენ ვისურვებთ სოფლის და ქალაქის დაქორწინებას. მათ ქორწილზე ლაზათიანი ქეიფი, ჩვენი ვალია და ამ ვალდებულებას ჩვენ პირნათლად შევასრულებთ.

(საერთო სიხარული და ხარხარი)

ფინეარი.



ნ ო ტ ა

ბულგარეთის ხალხის თავზე მჯდომარე გ-ნ სანკოვს

ჩემი მთავრობის სახელით სულით და გულით უადრეს მწუხარებას გამოვთქვამ სოფიაში აფეთქების დროს **თქვენი, მეფე ბორისის** და გენერლებ მინისტრების **გადარჩენის გამო.**

ჩვენი მთავრობა **საყვედურს უცხადებს** იმ ბედისწერას, რომელმაც **თქვენ გადაგარჩინა.** მიიღეთ ჩემი **უგულითადესი** და **განუსაზღვრელი** სიხარული **თქვენი ამხანაგების** დაღუპვის **გამო.**

ტარტაროზის იმპერატორობითი მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განვაცხადო თქვენს საყურადღებოდ, რომ **„ჯოჯოხეთის მანქანები“-ს** აფეთქება მოხდა ტარტაროზის ბრძანებით. მას სრული უფლება აქვს ამ **ქვეყნიური ჯოჯოხეთი,** როგორიც ამ შემთხვევაში **არის ბულგარეთი,** აფეთქების საშუალებით გადაიტანოს მთავარ ცენტრალურ

ჯოჯოხეთში და ამით შეჰქნას მთლიანი, განუყოფელი ჯოჯოხეთი, სადაც გადაყვანილი იქნებიან ყველა თქვენები, რომლებიც ამ ჟამად მიწაზე განაგებენ ჯოჯოხეთის კუთხეებს.

ყოველივე სიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ტარტაროზის მიერ დაარსებულია შერეული კომისია, რომელიც **გამოარკვევს** და **დაადასტურებს** **აფეთქების ფაქტს** და **საბაროებას**. ხსენებულ კომისიამ ჯოჯოხეთში უკვე დაიწყო მუშაობა; თქვენის მხრივ კომისიაში შედიან ყველა დაღუპული თქვენი ფაშისტები ამხანაგები, რომლებიც აფეთქების ძალით სასწრაფოდ ჩავიდენ ჯოჯოხეთში და მოთავსებულნი არიან შესაფერ ბინებში.

მუშაობის წარმატებით დასამთავრებლად, **საჭიროა თქვენი გამგზავრება ჯოჯოხეთში. ამას თხოულობს** აგრეთვე **კეთილდღეობა ბულგარეთის ხალხისა, რომელსაც თქვენ ამდენი ხანია ასე აწამებთ.**

ვიმედოვნებ, ჩემი მთავრობის მომართვა თქვენდამი უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული და თქვენ **საჩქაროთ გაემგზავრებით ჯოჯოხეთში**, სადაც თქვენთვის საგანგებოთ დამზადებულია **კუპრი და ცეცხლი.**

მიიღეთ ჩემი უაღრესი სიძულვილი და ყოველივე ავი სურვილი თქვენდამი.

საქაოში ჯოჯოხეთის სრულუფლებიანი
წარმომადგენელი: **კონ წარი.**

ჯოჯოხეთი
ტარტაროზის სასახლე

ჰატარა ფინიები

ჩვენში ამგვარი ცხოველები ნეპმან—სპეკულიანტების ცოლების თანამხლებლებია.

სურათი ისე მარტივია და ნათელი, რომ არავითარ სხვა განმარტებას აღარ საჭიროებს.

მეგობრული შარჟი

(**მოხუცფაკის ცხოვრებიდან**)

ამბობენ, რომ—როცა ქრისტე
ურჯულობას ქვეყნად ჰგმობდა,
— მაშინ **მიხა** და **არაქელ**
სოციალიზმს ქადაგობდა

—:—

„ცნობილ კარლოს“ მეგვარესა
უწოდებენ გიორგისა,
ჯოხი ხელში უჭერია
და სკოლაში ძალის მოდისა.

—:—

სწავლის ნიჭი და სურვილი
ყველას მეტი მას ემჩნევა;
(პოლიტეკონომიაში
ბევრჯელ ჰქონდა **თუმც** შემჩნევა).

—:—

თურმე ლევან რუსულ თქმაში
სჯობნის ვასოს და ანდროსა—
(და ფილიპე, ალბათ, მასთან
აღარ ჰკარგავს ზედმეტ დროსა).

—:—

ბევრი ამბობს, რომ გიორგი
სწავლობს—მაგრამ ეცინება;
ეს არ ვიცი, მაგრამ ვიცი,
რომ სწავლის დროს ეძინება.

—:—

„ქალიშვილები“ც დადიან
„კუკლით“ ხელში:—**ქეთო, ნინო,**
(მეტს ვერ ვიტყვი, რადგან ვშიშობ
ბოდიში არ გათქმევინონ).

—:—

სერგოც სწავლობს თურმე იქა,
ყველა ხედავს ნიჭს მასშია;
მეტადრე ანეკდოტების
სხვა ენებზე თარგმნაშია.

—:—

(ტარტაროზი წაიკითხეს)
დააბრუნა კარგად ჭირი.
(ეს არც თქვენთვის არ იქნება
მეტისმეტად გასაჭირი).

—:—

წლოვანება შემიძლია
მე მეტრიკით **დავამტკიცო.**
(არ დავმალავ, რაცა ვიცი
რისთვის უნდა გადავფიცო)

—:—

წიფნარაზე როცა იგი
მალულ კრებებს ესწრებოდა,
სიბიტოის დარგული ხე
მოზრდილ მუხას ეზრდებოდა

—:—

და იმ ხეს კი შეუსრულდა
წელს სამოცდა ერთი წელი;
ეხლა თვითონ თქვენ მიხვდებით
— მოხუცია ის თუ ჯეელი.

ერთი იმათგანი.

ცარიელი ჯიბე

(თბილისის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშის ცხოვრებიდან)

მივედი და ავიღე ჯამაგირი სალაროში.

ფული არც კი მქონდა ჯიბეში ჩადებული, რომ საწევრო გადასახადი მომთხოვეს იქვე. გადვიხადე.

რეშედახის... ჰო, ესეც საჭიროა, დახმარება უნდა.

დობროფლოტ... მაგრამ ეს, რა მაქნისაა?—

— ის მაქნისია, ამხანაგო, რომ ბურჟუაზიული ევროპა თავიდან ფეხებამდე იარაღდება და აძლიერებს საჰაერო ფლოტს. ჩვენც უნდა გვქონდეს ასეთი სიძლიერე—

ამიხსნა და მასწავლა მოლარემ, რომელსაც ხელი ფულის წასაღებად გამოწვდილი ჰქონდა,

— ამას კი მოგცემ, მარა, თუ კაცი ხარ ეს ფული სხვა რამეს მოახმარეთ თორემ თუ კიდევ იყოდეთ ჰაეროპლანი, კიდევ დაგვეღუპება ამხანაგები—უთხარი და თანაც ფული მივეცი.

—**დობროხიმ...** რაო? რაო? არა, ძმაო, მე არ მაციებს და არც თქვენი დობრი ხინა მინდა...

— **დობოხიმ** და არა დობრიქინა. ესეც საჭიროა თავდაცვისათვის მოიტეთ ფული..

რა მექნა... მივეცი.

საკლუბო... თუ კაცი ხართ დამეთხოვეთ. კლუბში მე არასოდეს არ წავსულვარ, ანდა როგორ უნდა წავიდე, როცა ყოველ ჯამაგირის მიღებაზე ასე მისუფთავებთ ჯიბეს

—შენ, ამხანაგო არ გესმის და გთხოვ ბევრი ლაპარაკით ნუ მომაცდენთ. ფული მოიტანეთ...

მერე გაზეთის... წიგნების... თეატრის ბილეთების... შეწირულება... ვალი...

და ჩემი ჯიბეც დაცარიელდა.

მივდივარ სახლისკენ, მაგრამ მისვლას არ იკითხავ...

თქვენს მტერს, მე რომ ცოლმა დღე დაშაყენოს... რა ჰქნას ბავშებს ჭამა უნდა, ჩვენც გვინდა... მეც რა ვქნა, როცა ჩემი ჯამაგირი გადასახადებს არ ჰყოფნის.

შიხტი პიტ.

იუბილე

უკვე დაიწყო სიიუბილეო სეზონი.

იუბილეს მსურველთა თითოეული წევრი გულის თრთოლვით მოელის თავის რიგს.

მეც მათ რიგში ვარ და მათზე უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს, რადგან მე ვარ **დამახურებული** იუმორისტი, რაც იშვიათია ჩვენში.

ჩემი იუმორისტულ ასპარეზზე გამოსვლას ჯერ ორი წელიც არ შეუსრულებია, მაგრამ მე თავისთავს დამსახურებულ იუმორისტად ვსთვლი და ღირსიც ვარ იუბილესი.

თითქმის ყოველ დღე ვგზავნი „ტარტაროზში“ წერილებს; მიუდგომლად ვამათრახებ ყველას, მაგრამ უფრო მეტად გამათრახებული თვითონ მე ვრჩები „ტარტაროზის“ მიერ ფოსტაში გამოქმედვით. ჩემს წერილებს იშვიათად თუ ეღირსება დაბეჭდვა და ისიც ისე შესწორებულია, რომ ჩემი ფსევდონიმის მეტი ჩემს შემოქმედებიდან არაფერი არ რჩება.

რად არ იბეჭდება ჩემი წერილები?

არ იფიქროთ, თითქოს აქ ჩემს უნიჭობას ჰქონდეს ბრალი. ჩემი წერილები ყოველთვის ასრულებენ თავის დანიშნულებას და აი როგორ:

წარსულ ცივ ზამთარში სატარტაროზო სათბობ მასალის დიდ კრიზის განიცდიდა; ამიტომ „ტარტაროზი“ ჩემს წერილებს ღუმელში ჰყრიდა და ხელებს ითბობდა; გამთბარი ხელებით „ტარტაროზი“ ასწორებდა სხვა წერილებს—და ამგვარად კეთდებოდა საზოგადო საქმე.

როცა სითბოები დაიწყო და ტარტაროზს აღარ სჭიროდა ხელების გათბობა—ჩემი წერილები სანაგვე ყუთში მოთავსდენ. აქაც იმავე მიზანს ემსახურება ჩემი წერილები: მათ მიერ სავსე სანაგვე ყუთის გადამტან მუშას ზურგი ისე არ სტკივა, როგორც სხვა მუშებს; ამით კი რესპუბლიკას ენახება ერთი ჯანსაღი მუშა, რომელიც, დამზღვევ კასების სასიხარულოდ და სასარგებლოდ, არ საჭიროებს წამლობას.

ხშირად ჩემს წერილებს სხვა საჭიროებისათვისაც ხმარობენ; აქაც საზოგადო საქმეს ემსახურება ჩემი წერილები. ისინი რომ არ გამეგზავნა ტარტაროზისათვის, მაშინ თბილისის სანიტარულ განყოფილებას უნდა **მიეღლინა** ექიმი, მხოლოდ, როგორც ვიცით, ერთი პატარა **მიღლინება** რკინის-გზას **დაუჯდა ჯნ0 მანეთი.**

მაგრამ, ყველაზე მეტ სარგებლობას ჩემ-

გან ღებულობს რესპუბლიკის საფოსტო განყოფილება, რადგან თვითეულ წერილს ორ მარკზე ნაკლებს არასოდეს არ ვაკრავ:

ამგვარად—ჩემი წერილები ემსახურებიან ერთსადაიმავე მიზანს: რესპუბლიკის გამდიდრებას სხვადასხვაგვარი ხელის შეწყობით.

მე რომ დიდი სარგებლობა მომიტანია რესპუბლიკისათვის, ამას ამტკიცებს უბრალო სტატისტიკა: ჩემს მიერ უამრავ გაგზავნილ წერილებიდან, მხოლოდ ერთი დაიბეჭდა; დანარჩენი კი მოხმარდა საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებას.

აუწერელია ის სიამოვნება, რომელიც მე ვიგრძენი, როცა ენახე ჩემი ლექსი დაბეჭდილი და მას ვკითხულობდი.

მე კმაყოფილი ვიყავი ჩემი შემოქმედებით და დავაპირე მწერალთა კავშირში წასვლა და წევრად ჩაწერა.

გაუდექი გზას. ქუჩა სადღესასწაულოთ მორთული მეჩვენებოდა. გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი. ბევრ მათგანს „ტარტაროზი“ ეჭირა ხელში. მე მეტად დამაინტერესა, თუ რა შეხედულების იყვენ ესენი ჩემს ლექსზე და ავედევნე უკან.

ერთმა გაბრაზებით დაკუმშა „ტარტაროზი“ და ჩაიდო ჯიბეში.

— მაშ რა გეგონა, შვილოსა? მოგხდა,— ჩეკიცინე ჩემთვის:

— ხა-ხა-ხა ხა—შემომესმა კისკისი და ხმაზე ვიცანი, რომ ქალი იყო.

— ხედავ რა დაუწერია.

მე ვიფიქრე: ალბად ძალიან მოეწონა ჩემი ლექსი. მე თუ კი ასეთი ნიჭის პატრონი ვარ, რაღა მინდა მწერლათა კავშირში, რომელშიც ამ ბოლო დროს ყეფაც და ყივილიც კი დაიწყეს. არა, მე უფრო დიდი კაცი ვარ... თამამად მეკუთვნის იუბილე და მე მოვითხოვ მას საზოგადოებისაგან, რომელსაც ჩემგან მრავალი სარგებლობა მიუღია.

ამ ფიქრებით გაუდექი ჩემს გზას და ვამჯობინე იუბილეს გადახდა, რადგან ეს უფრო დააფასებს მდამიანის ღირსებას, ვიდრე მწერალთა კავშირის წევრობა.

მთელი საზოგადოების თვალწინ საპატიო სკამზე ზეხარ გაბერილი; ხოტბას გასხმენ ახალგაზრდა თუ ბებერი „მოღვაწეები“. სინამდვილეში რომ ხარ, ასზე უფრო მეტად გაგადიდებენ: **ჩვენი ქვეყნის მოჭირნახულე, პირველი იუმორისტი, საზოგადოების მოამაგე, ერის სიამაყე, დაჩაგრულ ხალხში სინათლის სხივის შემტანი; თუნდაც კოოპერაციის დედა-ბურჯი** (შეიძლება ეს სიტყვა პირველად გესმოდეს იუბილიარს), **პირველი შეფი, შენ მოახდინე „სმიჩკა“**—და კიდევ ათასი ასეთი ძვირფასი სიტყვები.

შენ კი ფიქრობ:—არ მახსოვს ესენი როდის გავაკეთე, მაგრამ ამათ უფრო ხსომებიათ. შენც ამპარტავნობის გრძნობით ივსება, ამბობ—ნახე, რა კარგი ბიჭი ვყოფილვარ, მეც არ ვიცოდი, თუ ასეთი კაცი ვიყავი; რა დიდი ღვაწლი მიმიძღვის საზოგადოების წინაშე.

შენ გიძღვნიან პერგამენტზე დაწერილ სიტყვას, შემოგწირავენ ფულს, თბილისის ერთ ერთ ქუჩას შენ სახელს არქმევენ; შენს სახელობაზე სტიპენდიასაც აარსებენ... გაგიწყობენ ვახშმს და თამადათაც შენ აგირჩევენ.

შეიძლება ფულის დაპირება—დაპირებად დარჩეს, ვახშმის ხარჯი შენ გადაგახდევინონ, და ერთი სიტყვით, არც ერთი დაპირება არ შეგისრულონ, მაგრამ შენთვის ისიც კარგია, რომ საზოგადოებამ დააფასა შენი ნიჭი და ღვაწლი.

იბი.

ძურთი. თქვენ გაგვაბრიყვეთ, ბატონო ლორდო.. ძვირად დაუჯდა ჩვენს ხალხს ეს აჯანყება.

ინგლისელი. ჩვენ თქვენზე მეტი დაგვიჯდა. **რამდენი ფული დავხარჯეთ და ამაოდ ჩაიარა.**

მღვდლის მოთქმა

დაგელოცა ღმერთო სამართალი; როგორ გკადრო, მარა ამ ბოლო დროს შენშიც და შენს სამართალშიც კი შემეპარა ეჭვები.

იუმცაღა ყოველთვის უხილავი იყავი, მარა ჩემი გაძოკნილობით და მოჭახრაკებით გამკონდა როგორც იყო საქმე და ამ უვიც ხალხს ფეხის ფეხილებიდან თავამდი ვაძრობდი ტყავს. ჩემი ოჯახი ყოველთვის ავსებული იყო ბარაქით. მერე კიდევ შობა, კალანდა, აღდგომა და სხვა დღესასწაულები ხომ ჩემთვის იყო.

ახლა ამ შეჩვენებულ ურჯულო კომუნისტების მოსვლის შემდეგ, მე და ჩემი ცოლშვილი ერთი ლაზათიანათ არ გავმძღარვართ, თორემ სხვას თავი დაანებე. მუშაობა მე არ შემიძლია, არ ვარ დაჩვეული; შემოსავალი არაფერი მაქვს; თუ ვინმე წელკავიანი მოკვდება, ან დაიბადება, ანდა ვინმე ქალს მეიყვანს—მე არავინ არ მპატიჟობს.

ოი, ჩემო გაუბედურებულო თავო. იყო დროი და შენი იონა პირველი კაცი იყო წვეულობაში. პირველათ ჩემი სადღეგრძელო დაილევოდა, მარა ახლა რომ დამინახავენ, პირს მარიდებენ.

ამას წინად ერთმა გლეხმა დამინახა, ეიღო ქვა, დააფურთხა ზედ, გადააბრუნა და ისე დადვა მიწაზე; ოი, დალახვროს იესო მაცხოვარმა მისი გვარი და გუჯაბი, ვითომ და მე კუდიანი ვიყო.

ამ ქრისტეს აღდგომას ჩემსას ქრისტეს ტირილი იყო: ბაღნებმა ტირილი მორთეს; ცოლს ენა არ გაუცია. წინეთ სადილათ აღდგომას ჩემსას რომ ყოფილიყავი,—იყო პასკა, კვერცხი, ტაბლა, ხაჭაპურები, ქათამი, ინდ ური, გოჭი, ცხვარი, საცივი, ღომი და ყველაფერი.

წელს, ქრისტეს გეფიცები, გაფიცხებული მეადი, ტარანი და ფხალი მქონდა.

ყირიმტარტარი.

„მონადირე"

ლევარსიმ გადაიარა
ბეუეის ჭალები ქვიანი.
გადინადირა წითელ მთით
მაღლობი მონასტრიანი.

მზე ჩადიოდა მთის იქით
საღამო იყო გვიანი.
ვერც მოჰკლა ღორი ველური,
ვერც შეხდა ძროხა ოქიანი.

ნახა ნიშანი ხიფათის:
ჰაერში ფრენდენ ძერანი.
მოესმა ტურის კივილი,
გულმა დაუწყო ძგერანი.

იფიქრა:—ალბად დათვია,
შემჭამს ეს მხეცი ვერანი—
პირი იბრუნა სოფლისკენ,
მიჰქროდა როგორც მერანი...

ისე მოვარდა სოფელში
უკან არ მოუხედია.
გადაიწერა პირჯვარი
ადიდა შემოქმედია.

ამბობდა—დათვი ვერ შეგჭამს
თუ კაცს კი გწყალობს ბედია.
ჩემს მეტს ჯერ გომის მთის ტყეში
შესვლა ვერ გაუბედია.

მაგრამ რა არის მტრის თვალში
თუ გინდ ასეთი გმირობა.
სასაცილოთა აიგდეს
ლევარსის ეს ნადირობა.

ეუბნებოდენ:—ლევარსი,
რომ გითხრათ გულახდილითა,
— მონადირისა სახელსა
ატარებ შენა ტყვილათა.
ჯერ არ გვინახავს—მოგეკლას
კურდღლის ბაჭია წყვილათა.
შენ ვერ მოჰკალი კურდღელი,
ირემს ჰკლავს სხვა ადვილათა.—

თავი იმართლა ლევარსიმ:
— მერე რა ჩემი ბრალია.
ყველამ ხომ იცით ჩვენს ტყეში
მხეცები რომ მრავალია.

არა ერთხელ და ორხელა
მივაგენ მათი კვალია.
გულმა ძგერანი დამიწყო.
როცა მოვკარი თვალია.

მესროლა... როგორ მესროლა,
ამიკანკალდა ხელია
და მზიანი დღე შუადღისას
მე მომეჩვენა ბნელია.

მიზანში სწორი ადება
ასეთ დროს მეტად ძნელია.
ვაი თუ ვეღარ მოჰკალი,
ვინ არის მაშინ მხსნელია?!

ირგვლივ მოისმა ხარხარი
ბოროტი და გესლიანი...
ლევარსი სახლში წავიდა
მრისხანე და ბრაზიანი.

ფიქრობდა:—ამათ რა უყო,
რით მივაყენო ზიანი...
თუ მაგათ საქმე არ უქენ
მე არ ვიქნები ჭკვიანი.

სახლში ბლომად ჰყავს კურდღლები,
ჩაიდო იღლიაშია;
თოფი მოიგდო მხარზედა
და გზას გაუდგა მთაშია.

არავინ არის მახლობლად,
მიაბა ხეზე თოკითა;
დახვრეტა გადაუწყვეტა—
მოჰკლა კურდღელი თოფითა.

მოდის ლევანრხი ამაყად
საქმე ჰქონა მეტად დიდია;
ორთქლმავალსავით აბოლებს,
კურდღელი მხარზე ჰკიდია.

სოფელში ჩამოიარა—
იხილონ მისი გმირობა...
ან კი ვინ ეტყვის ლევარსის:
— არ იცი შენ ნადირობა.

ზმუკი.

ტარტაროზის „ვიზიტი"

გათენდა თუ არა დიდ ბული დღესასწაული **აღდგომა** (ღმერთმა მრავალს დაგასწროთ!) ტარტაროზმა აიღო თავისი ხურჯინი და პროვინციისაკენ გაემგზავრა.

მან კარგად იცოდა, რომ პროვინციაში უფრო მეტი პატივით შეხვდებოდენ და პასკებითაც დაიტვირთებოდა.

როგორც საბჭოთა წესწყობილებას ერთ შებაირახტრემ, ტარტაროზმაც პირველად საბჭოთა მუშაკები და პ/მ. ამხანაგები ინახულა. მან კარგად იცოდა, რომ ამთთგან ვერაფერ პატიცემას მიიღებდა, რადგან ეს ხალხი ურწმუნო არის და არ სწამთ არავითარი სარწმუნოება, ქრისტე და ღმერთი. მაგრამ პირველად მაინც ამათ ესტუმრა.

მისი სტუმრობა ზოგ ამხან გებს კიდეც ეწყინა; ზოგსაც, თითქოს, ესიამოვნა, მაგრამ სიმართლე რომ ვსთქვათ, მაინდამაინც არავის გახარებია.

ზოგიერთმა ბოდიშიც კი მოიხადა ტარტაროზის წინაშე, რომ ისინი დღევანდელ დღეს სრულებითაც არ ხვდებიან, როგორც დღესასწაულს. ზოგიერთმა ტარტაროზის მიღებაზე სავსებით უარი განაცხადა, რადგან მათი ცოლები გულმოსული იყვენ პასკის გამოუცხობლობის გამო.

ასე იყო თუ ისე, ტარტაროზი მაინც ბევრ პასუხისმგებელ მუშაკების სუფრას დაესწრო და კარგი დროებაც გაატარა. თითქმის ყველა თავს იმართლებდა და ყოველიე დანაშაულობას პასკების, გოჭების, ინდაურების და ერთი სიტყვით საღდგომო მხადების შესახებ აბრალებდენ თავიან ცოლებს, პატარა ბავშებს და მოხუც მშობლებს.

მაგრამ როცა ტარტატოზთან ერთად ორი სამი ბოთლი კახური გამოსცალეს, არხეინად შემოსძახეს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილითა".

ორმოცამდე ამხანაგები ინახულა ტარტაროზმა და ყველგან პასკებით და გოჭებით გაწყობილი სუფრა გაუშალეს, თუმცა ყველა თავიანთ ცოლებს აბრალებდენ ასეთ სუფრის გაწყობას, მაგრამ ტარტაროზმა ამისათვის არა თუ დასძრახა ამხანაგების ცოლებს, პირიქით, დიდი მადლობა გამოუცხადა და როცა მათ ქმრებს ღვინო შეეპარა თავში, ხელიც კი გაუპარა ფუნთრუშა ლოყებისაკენ.

ტარტაროზი დათვრა პასუხისმგებელ ამხანაგებში და უბრალო პირებთან ვეღარ მორთო მისვლა.

დილით, როცა ლოგინიდან ადგა, ტარტაროზი საშინლად სტკივოდა თავი. მასპინძელს შეეშინა—ვაი თუ გაბრაზდა და კუდით ქვა მასროლია-ო. მოკრძალებით მივიდა მასთან, ბოდიში მოიხადა და უთხრა:

—პირდაპირ მოსაკლავია ჩემი ხელით ჩემი ცოლი; მე არა მწამს არავინ შენს გარდა. გვაპატიე, ამხანაგო, მომავალ წელს ასეთი არ განმეორდება ჩემს ოჯახში.

მეორე დღეს ტარტაროზი თავის კაბინეტში იჯდა და გონზე როცა მოვიდა—

მოიგონა ყველაფერი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ დღეებში უნდა გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალით ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებს ჩამოერთვა ძველი (ეხლანდელი) ცოლები და მათ ნაცვლად დაურიგდებათ ახალი.

ბ. ობოლი.

„ჰინდენბურგი"

წყალწაღებულთა წყალწაღებული იმედი

— გაიგე?

— რა? მოსკოვი ხომ არ აუფეთქებიათ?

— ჯერ არ აუფეთქებიათ, მარა მალე მგონი მოსკოვი კი არა მთელი რუსეთი ააფეთქონ, მთელი საფრანგეთი და ინგლისი.

— აი, ღმერთო, თუ რამე საშველი დაგვადგეს... რაშია საქმე მითხარი, კაცო? რა გაიკე ასეთი?

— რა გაიგე და... აქეთ წამოდი, არავინ გაიგონოს... რაშია და ჰინდ...—ხომ არავინ გვიყურებს—ჰინდენბურგი აურჩევიათ და საქმე გადაწყვეტილია. ახლა იგი, როგორც კი ჩაიბარებს პრეზიდენტობას, ვილგელმს დასვამს ტახტზე და ყველას, ვისაც კი უწინ ეომებოდა, ომს გაუმოუცხადებს.

— მაგი თუ მასე იქნება, ღმერთს გეფიცები, ერთ ოქროს საათს გიყიდი, როცა სახლებს და მაღაზიებს დაიბრუნებ.

—აი ასე იქნება, მარა მაკარიჩი ახლა უნდა გადაიხადო; ხომ გაგიგონია: ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო. ჩავიდეთ აგერ სარდაფში და თითო ბოთლი ღვინო გადვარეთ.

— ჰინდენბურგს გეფიცები, მე კაპეიკი არ მაქვს. პურის ფულის სასესხებლად გამოვედი და ის იყო შენ დაგინახე; შენთვის მინდოდა მეთხოვნა ორი შაური... როცა ქონებას დავიბრუნებ, მაშინ გულს არ დაგწყვეტ.

— მაშინ არც შენი საათი მინდა და არც ღვინო. ყველა გადვიხდით მაკარიჩს კი არა დღესასწაულსაც.

— რა ნაირია ცხოვრება. კაცი აქ ხარ საქართველოში და შენი ქონების ბედს გერმანიაში გადასწყვეტს ჰინდერბურგი.

— აგერ დავითი მოდის და ვეხაროთ... დავითი გაიგე სასიხარულო ამბავი?..

— გამარჯობა თქვენი... რა სასიხარულო ამბავია ჰინდერბურგის არჩევა.

— გავიგე და მაკარიჩით გიბელით...

— დაჩუმდი.. აგერ მუშები მოდიან... არაფერი გაიგონონ. დააყენე რას ამბობენ:

„ჰინდერბურგი არის წყალწაღებულთა უკანასკნელი წყალწაღებული იმედი".

ბომბი.

1.—აბა, მაჩვენე, ხალხი თუ კიდევ
ძველებურად გცემს პატივს სმა-ჭამით.
2.—აი, მთაგორა ტკბილი პაპკების
და პირუტყვ-ფრინველთ დახოცილ გვამთა.
3. იქ ასე შეხვდენ ჩემსა აღდგომას,
ვერ გამოსცვალა გამოცვლამ ქამთა.
4. იქ დაერიენ ერთმანეთ „ძმები“,
ბოთლებით გატყდა მრავალი თავი.
5. ეს კაცი იმ კაცს ხანჯლით გულს უპობს,
ალბად გულს ჰქონდა განზრახვა ავი.
6. აი ყველაზე უფრო ლამაზი
ხედავ უხსნიან... ჰო, სიყვარულსა.
7. იქ კი მიაკლდა სურსათი ყასაბს,
ჰყიდულობს და ჭლავს ცხვარს მოპარულსა.

როგორ გაატარა პეტრემ აღდგომა

თვის სახლში პეტრეს ღვინო
არ ჰქონდა ერთი კვარტი.
(როცა ფულს აიღებდა
უყვარდა სმა და კარტი).

და უხაროდა პეტრეს
აღდგომის მოსვლა მალე.
ამბობდა შაბათ ღამით:
ცხრა კვარტსა დავლევ ხვალე.

დავივლი ყველა ნაცნობს
და ყველგან დავლევ ღვინოს;
ვინც არ მიმიღოს ძმურად,
ის ღმერთმი შეარცხვინოს.

მივალ და მიულოცავ
აღდგომას მაცხოვარის;
სუფრაზე მიმიწვევენ,
ავყლაპავ რაც კი არის.

გადავკრავ ორს-სამს-ოთხს-ხუთს,
ზედ დავაყოლებ პასკას
და შემეძლება მერე
პასუხი გავსცე ას კაცს—

და მართლაც პეტრე დილით
გაუდგა თავის გზასა.
მიდის ყველგან და არსად
არ ვარობს ღვინის სმასა.

მთვრალია და გრძნობს თვითონ...
ფართო ქუჩაში მიდის...
თბილისი მისი არის—
ორ კვარტ ღვინოზე ჰყიდის.

მოისმა როიალი
და ზედ ლეკური ჩქარი.
პეტრემაც დაუარა,
მის ახლოს არავინ არი.



და შადრევანი უცებ
პირიდან ამოვარდა;

არავინ იყო ახლოს
ორი ლორისა გარდა

იმასთან ქონს და სორცსაო, ელოდე, ძმაო, ცოცხსაო

მთვარობების გამოცვლამ
იგი ვერ შეაშინა;
უყვარს კარგი ცხოვრება,
უყვარს ასე საშინლად.
ყველას იცნობს, სულყველგან
ხვდებიან ხელგაშლილად...
კოხტა ავტომობილში
დღე და ღამე გაშლილა...

გყავდეს გამგე ასეთი
ქვეყანაზე რა გიშავს...
(დილას ათზე მიხვიდე,
შინ თორმეტზე გაგიშვას),
რა ვუყოთ, თუ ნათლულებს
კარგ პოსტებზე დანიშნავს,
ან თვალს უზამს შემთხვევით
მშვენიერ „საბბარიშნაკ“.

თუ როდისმე ორ კაპიკს
ჯიბეში ღრმად ჩამარხავ,
(ორი კვირის ნაოფლარს,
და ორ კვირის ნამარხვალს)
კაზინოსკენ შეუხვევ—
(კაცს ბედი განაგებსა),
იმ საღამოს, უთუოდ,
იქ ნახავ ჩვენ გამგესაც...

და როდესაც შენ ჯიბეს
უკვე სისხლი უშრება,
და გულში ჩამოწვება
სინანული თუ შვება,
ფიქრობ—რამდენ სიკეთეს
კაზინო კაცს უშვება,
უნდა იგი დღეიდან
შეიყვარონ მუშებმაც,

ჩვენი გამგე დილამდის
ზის იქ, შრომობს და იღწვის;
წუთში ასჯერ აღსდგება
და ათასჯერ დაიწვის—
ალიონის მოსვლამდე
იქიდან ფეხს არ იცვლის:
ვის რაში ეკითხება
თუ ჯიბეებს დაიცლის...

მდიდარია ხაზინა,
იმას არც დააკლდება;
კაცი ჭკუათმყოფელი
ფულებს გადააკვდება?
გულში ორ ათასისთვის
დარდი რად ჩავარდება?
არ შეგინდო რულეტკამ,
კარტში ხომ ჩაბანკდება?

დროს არ უშვებს ტყუილად,
საქმეს არ გააციებს,
სადაც ხელი მიწვდება
აწყობს კომბინაციებს...



გამოეღვიძა დილით—
უცნობი არის ბინა.
ფიქრობს—სადა ვარ ეხლა,
ეს არის ჩემი შინა...

მაგრამ უჩვენეს ოქმი
და პეტრეს მოეწყინა.
ამბობს—ასეთი ქრისტე
პეტრიამც შეარცხვინა.

ზურნა.

ზაპტკოს სასადილო

— ეტყობა თქვენი სუფი ძალიან ცივია და სუნიც საზარელ აქვს.
— თქვენ რა იცით რომ ცივია! ჯერ ხომ არ გიშინჯავთ!
— განა ცხელი რომ იყოს თითებს არ დაგწვავდა შიგ რომ ჩაგიწყვია?!

(იხ. მე-12 გვ.).

შეიძენს და გაყიდის
ვალიუტას თუ აქციებს—
მაგრამ რაღაც ბოლო დროს
თითქოს წელში აციებს...

აციებს და ვინ იცის
ხვალ რა ბედი ეწევა;
მაგრამ მაინც მამაცად
შრომის უღელს ეწევა...
უყვარს რესტორანებში
ანხანაგთა შეწვევა...
არ გაბედოთ „მოპრისთვის"
არ მოთხოვოთ შეწევა...

ო, მას არ შეუძლია...
შინ ცოლშვილი აწუხებს...
უპერს თავზე „უესი"
სინათლისთვის მარწუხებს...

დღეს იმისთვის შაურიც
დიდზე დიდი რამეა...
ამ აღდგომა—დღეებზე
პასკაც არ უპამია...

რა მედგარი გამგე გვყავს;
ვერავინ ვერ შეაშინა.
უყვარს კარგი ცხოვრება,
უყვარს ასე სიშინლად...
ყველას იცნობს, სულყველგან
ხვდებიან ხელგაშლილად...
კობტა ავტომობილში
დღე და ღამე გაშლილა...

ცხოვრობს როგორც შეჰფერის,
და იმ ტებს ნელა ხორცს...
მაგრამ ხშირად სიზმარში
რისთვის ხედავს ნეტავ ცოცხს?

ხ.

„ნაშვილები".

(გურჯაანისათვის)

მოგეხსენებათ უშვილო კაცის
ღრმა სიყვარული ობლებისადმი.
მეც ვპატრონობდი ობლად შთენილიებს,
თუ შემსვდებოდენ ასეთნი სადმე.

ძლიერ ეწყინა ჩემგან საშიკოს...
ბავშობიდანვე არის თავნება;
სასამართლოში მიწვევდა, მაგრამ
ლაგამი მოსდო თქენმა ბრძანებამ—

და გულმოსულმა ასეთ ამბითა
მთელი სოფელი გადააბრუნა.
მე ვეღარ შევძელ მის მორჯულება,
ისეც მოხუცი დამაძაბუნა.

თქვენთან მოვედი თხოვნა-მუდარით,
არ გამისტუმრებ, მგონია ვარით.
გთხოვთ-თქვენ იშვილოთ ეს ცელქი ბავში,
უკვე ნაცნობი თავისი გვარით.

ძაძათ მოუსვით თქვენი მათრახი
და მასწავლებბლად გრძელი ჩანგალი.
შუბლზე კი ნიშნად შვილობილობის
დ ლათ დაჰკარით ჩაქუჩ ნამგალი,

რომ შემდეგშიაც არ დაივიწყოს
თქვენი ამაგი ამა ქმნილებამ.
თუკი იშველებთ*, ამის შესახებ,
გთხოვთ რომ გამოსცეთ დადგენილება.

ი. ბ.

*) შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საზა ალიბანოვი კარგაბანია ნაშვილებია ჩვენს მიერ.

უძღვნი ჩემ...

(ნიგზიანელები თვითონ მიგვდებიან ვის)

აგაყვავე, აგავარდე, შევასრულე სატრფოს წესი,
შენი ეშხით შეპყრობილი გავხდი ეპოს უხუცესი.
თუმც მუყემსს ვგავდი მე პირველად სადმე ველად განაპარსა,
არ მიმკობდა, როგორც ეხლა, კოსტიუმი ტანს და მხარსა,
მაგრამ პაიპ-კარაპინი უდარდელად გადავყარე,
წაღიც ზედვე მივაყოლე, ყველა არქივს მავაბარე.
მე დაგდევდი ვით ფინია, შენი მქონდა სიყვარული.
ასი ვერცხლი დაგახარჯე შავი დღისთვის შენახული.
აბრეშუმებს გინახავდი საკაბედ და თეთრეულად;
მუდამ მქონდა ლორიგანი შენთვის დახლში დაფარულად.
მაგრამ ეხლა მე რა გითხრა, რა მოგთხოვო შენ პასუხი?
როგორ, როგორ მოვისმინო დასეტყვილი რახა-რუხი?
გადაგიხდი მაგიერსა მე საქმესა ამაგვარი
ეხლა ეპოს უსტუმბაში და ძველ დროს კი ჩალანდარი.

შური.

„ჩემი სიმღერა“

(ჩუმჩაირახ ხმაზე)

მე რათ მინდა სამსახური,
ტანზე-ფეხზე ან ჭამა,
უნდა მქონდეს გაქონილი
ბარი, ტუქი და ყამა.

ბარზე დავსვა პროტექტანტი,
გადვისროლო სხვაგანა;
ჩვენ არ გვიყვარს ასეთები
ჟუდბუზალა, კოლანა.

უნდა ჩავკრა დიდთავიანთ
თიკვით გამოტენილსა,
საზოგადო საქმისთვის
ცულლუტ-შერცხვენილსა.

ყამით ვკვეთო უდარდელად
ცხვირებ აბზეკილები,
ქოფაკ-მჭამლებს აქაურთ
ჩავამტვრიო კბილები.

ყველა ასეთს ნება აქვს
ის იფიქროს და ის თქვას,
მხოლოდ ჩემმა წისქვილმა
დაუღალავ მუდამ ფქვას.

მე რათ მინდა სამსახური,
სხვებსა უფრო სჭირდება,
მაგრამ რა ექნა ცოლშვილი
სიმშილით რომ მიკვდება.—

ყარი.

სადილის მოლოდინში

ტკბილი ძილი და სიზმარი



სადილის შემდეგ

ასე ვინ ჰგოდებს?

რად მისისინებს ეს ენა?
რათა მძულს კომუნისტები?
— მიტომ რომ იმათ მომისპეს
„ისპოლნიტელნი ლისტები“.

ღმერთო, რად შემომისიე,
ეს მუშა ხალხის მცველები.
რასაც კი თვალი მომიკრეს
მაგრად ჩაავლეს ხელები.

არვინ მისრულებს ბრძანებებს,
აღარ მყავს ეხლა მსახური;
ეხლა წყლით სულს რომ ვიბრუნებ,
უწინ სულ მქონდა კახური.

დათიკო.

„გულკეთილი“ დიასახლისი

მაგონდება მწარე ფიქრი, ფიქრი შავი და უძირო,
რადგან მშიერ ღარიბ მუზას ვერ უშოვე სანადირო;
თვალცრემლიანს, შესაბრალისს ასე უთხარ: „არ იტირო,
„წამო, ქუჩებს დაუყვები, იქნებ რამე დავიჭირო“.

გავყევ ქუჩას... იქვე ახლოს დავინახე მწვანე ველი;
ზედ შევნიშნე მცირე რამე, ჰგავდა იყო ის ცხოველი.
საუზმისთვის ის ვიგულე (სადილისთვის სხვას მოველი)
და ვფიქრობ, რომ გამოჩნდება მუნ ნადირი იქ მძოველი.

მინდა რომ ტფილისს ვაუწყო ესე ამბავი ქართული:
— იქ, სადაც ვიწრო ქუჩები არიან გადახლართული,
სადაც დატვირთულ ვირის სვლას აძნელებს გზა-აღმართული,
— იქ სცხოვრობს დიასახლისი, სახლი აქვს ორი სართული,

წინედ ჩხენკელის, დღეს სხვისი, ბახტაძე ოლიმპიადა,
მდგმურებს რომ მკაცრად ეპყრობა, ასე რამ გააზვიადა.
ქვეყანა მისი ჰგონია, მდგმურებს არ აგდებს ჭიადა,
აქუხებს მწარე სიტყვებსა, მათთვის გულსაკლავ ტყვიადა.

მას აღარ ყოფნის მდგმურთაგან ჩვეულებრივი ფასები,
თუ ბლომად აღარ მიართვეს, გამორბის ნაკაპასები;
სურს ნაცარ-მტვერად აქციოს მან თავის ურჩთა დასები,
გადაანთხიოს მათ შხამი თვის გულში მონათავსები.

აწ გეტყვი თუ როგორია ეს მდგმურთა შემვიწროები,
ხნით ოთხმოცი წლის იქნება, მაგრამ რას უზამს დროები;
„დუხი“, „პუდრი“ და „პამადა“ ბლომად აქვს დანაგროები,
რომ სახე ისე გახადოს, ვერ სჯობდეს უქმაროები.

მასთაც მცხოვრებთა მოვიყვან ვინც ოდენ მოსაყვანია.
ერთი მათგანი იმასთან არ სცხოვრობს დიდი ხანია.
მატეოსიანს გვარადა სახელად ჰქვია მანია,
ორი თუ სამი სტუდენტი და იურისტი ჟვანია.

მატეოსიანს მიმართა ხერხითა ვერაგულითა;
ალ-მოდებულმა შურითა გულშიგან ჩანერგულითა,
დასწამა იგი ხელობა, რაც თვითონ მოსწონს გულითა
და გაისტუმრა საჩქაროდ თვისივე საბარგულითა.

რა ჩულქის მქსოველს მიუდგა მან ამნაირი ხრიკები,
— საჩქაროდ გამოიწერა მდგმურებად „ბუფეტჩიკები“,
რომელთა სამკაულებათ აქვთ არღანი და ტიკები,
კახური ღვინით ივსება ყოველდღე მათი ჭიქები.

თუმც ჟვანიას მასთან ომში ხელი აღარ გაუსვრია,
მაგრამ მისმა საქციელმა მეტიამეტად აბეზარია
და მის ბინის სარკმლის მინას ჯოხი ჰკრა და ჩაამტვრია,
ზემოდ მყოფი სანათებლად ძირს დაჰყარა როგორც შვრია.

რა შეატყო—კალისტრატეს არ წამოსცდა სამდურავი,
გავიდა და მის ოთახსა დაურღვია სიხურავი,
რომ ოთახში დამდგარიყო წყალი მისთვის საცურავი.
(ყოველ ღონეს იგონებდა ძალთა არა დამშურავი)

ახლაც კიდევ არ ისვენებს, ჯოხებს კარზე არახუნებს,
ამით ფიქრობს—სახლის ქირას იგი უფრო მეტს ირგუნებს;
თან რომ იგი ძლიერია სხვა მდგმურებსაც დაარწუნებს
და არც ერთი იმათგანი სიტყვას აღარ შეუბრუნებს.

შფოთავს და სწუხს კალისტრატე, მწარე ეპუნვა გულს ილონებს;
ის საჩივარს სხვაგან ილებს, მას კი ვინღა გაუკონებს;
ამას ამბობს:—რომ ვიჩივლო ამას არვინ მომიწონებს,
თუ დავჩუმდი—„ქალბატონი“ აგერ-აგერ დამიმონებს.

„ქალბატონმა“ სტუდენტებსაც დაანახვა დიდი ძალა;
ერთს იმათგანს გაბრაზებით თავში კვერცხი მიახალა.
წარა-მარა მოუბარმა მათ სიტყვის თქმაც არ აცალა
და მით თვისი ბოროტება თვალსაჩინოდ გადმოშალა.

და ეხლა გთხოვ, ტარტაროზო, (ასრულების მაქვს იმედი)
მომაწოდო მე ლაგამი ჯოჯოხეთში განაქედი,
რომ მით ამაყ დიასახლისს მოუხარო მტკიცე ქედი,
რათა მიხვდეს რომ მის ხელში აღარ არის მდგმურთა ბედი.

ღარიბი.

მუშფაკელი ფოფოლია

(ფიქრები)

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩემი გრძნობანი;
მსურს დავამთავრო მუშფაკი,
ეს არის გულის ხმობანი.

ერთ მუშფაკიდან გამაგდეს
და მეორეში შევედი;
პროტექტორები თუ მწყალობს
არ მიღალატებს მე ბედი.

მაგრამ მუშკორის ფხიზელ თვალს
არ იქნა ვერ დავემალე;
სადაც წავედი ყველგანა
იმათ მომაგნეს მე მალე

მაგრამ რას იზამს მუშკორი,
როცა ბევრი მყავს მცველიან?!
პროტექტორებმა სულ ყველგან
კარგად მომიწყვეს ხელია.

მე მღვდლის ცოლი ვარ, თუმცა ქმარს
გაკრეჭილი აქვს წვერია,
მაგრამ რა უყოთ—ეს საქმე
დროისა შესაფერია.

დროება არის ასეთი,
უნდა მივსდიოთ მის კვალსა,
უფალმა იცის რომ მარად
არ დავივიწყებთ მის ვალსა.

მოვა დრო და კვლავ ვიქნები
ბრძანებელი და ბატონი;
საკურთხების და არჩევის
კიდევ ვიქნები პატრონი.

ქალი ვიქნები ნასწავლი,
მე მუშფაკ დამთავრებული;
გადავეხვევი მამაოს,
დავკოცნი გახარებული:

და მიეძინა ამ ფიქრში...
და ნახა ტკბილი სიზმარი,
— რომ მისი ქმარი უკვეა
გრძელ წვერიანი მოძღვარი.

ამ დროს მოესმა კაკუნი,
გაიღო უცებ კარია—
და ტარტაროზი მის წინა
სდგას ჩანგლით პირმცინარია.

შეჰკრთა და შიშით ძარსა ჰქნა
ბრაგვანი ლოგინიდანა.
ტარტაროზმა ჰკრა ჩანგალი,
ისროლა მუშფაკიდანა.

როგო





შეაბა ხარი-კამეჩი, დახძახა ოროველაო.
სადაც კი არის მინდვრები უნდა დავთესო ყველაო.

ძირულა

დ. ძირულა ძარღვი არის ზემო იმერეთის. რა გინდა სულო და გულო, აქ რომ არ იყვეს, აღმასკომი, თავის თავმჯდომარით და დარაჯით, აგურის ქარხანა, 15 სამეკიტნო, ერთი კოოპერატივი და ერთიც „წითელი სასადილო“.

ეს დაბა არც კულტურულად არის ჩამორჩენილი. აქ არის შვიდწლედი სასწავლებელი. თუმცა ამ სასწავლებელში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის „რომანები“, რომლებმაც გაახშირეს მდ. ძირულას პირად პაემანები, მაგრამ ეს ხელს სრულებით არ უშლის მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას. სკოლის გამგე ისე დაეჩვია ქორწილებში ქეიფს, რომ განზრახული აქვს ცოლიანი და ქმრიანი მასწავლებლებლების დათხოვნა და სანაცვლოდ უცოლოების და გაუთხოვართა მიღება. განზრახვა კარგია—ალბათ შედეგიც ნაყოფიერი იბნება.

ძირულაში არის მუდამ დაკეტილი სამკითხველო. ამ სამკითხველოში კარგა ხანიხ არავინ შესულა თაგვების და ვირთხების მეტი.

სამკითხველოს გამგე კარგა ხანია უგზოუკვლოდ დაიკარგა.

თეატრის სეზონი დაიხურა გასული თვის დამლევს, (თუმცა მისი კარები მუდამ დახურული იყო). დაიდგა სულ 1 ნახევარი წარმოდგენა ანუ უფრო სწორედ—ერთი წარმოდგენა და სამი რეპეტიცია.

საუნედუროთ აქ არ არის ცირკი, მაგრამ მის მაგიერობას ასრულებს „წითელი სასადილო“. აქ მუდამ იმართება ჭიდაობა.

მ. ცქიტიშვილი გამოდის ჩემპიონთა-ჩემპიონ ო. ოყროშაძის წინააღმდეგ.

„ეპო“-ში ყოველდღიურად იმაროება მოქეიფეთა გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც „ეპო“-ს თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ამიტომ გამოცხადებულია მყიდველთა საყურადღებოდ, რომ ვინც ხელს შეუშლის, დაისჯება „წითელ სასადილოში“ ბოთლი წითელი ღვინის ხმელა გადაკრით.

მეპურე წვერავას აზრით თეთრი პური აქაურების ნაწლევებზე ძლიერ ცუდათ მოქმედობს და ამიტომ ის პურის ფქვილში ბლომად ურევს მჭადის ფქვილს. მაგრამ ეშინია ფასის დაკლებამ მის დახლზედაც ცუდათ არ იმოქმედოს და ასეთ შენაერთსაც ყიდის იგი ნიხრის მიხედვით.

ვინაიდან „ზაკტპო“ ს დუქნის გამგეს ძალს უშლის მატარებლების მიმოსვლა,—გ. დასწყვიტა სავაჭრო შენობის გადატანა ვაშპარიანის სერზე, საიდანაც (ალბათ უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით) მიაწოდებს მუშტრებს საჭირო საქონელს.

ოთარ-ბეი.

შახსეი-ვახსეი

(ქ. ჭიათურა).

საღდგომო მზადება კარგად ჩატარდა. წამოსროლილი იყო ლოზუნგი: **„რასაც შესჭამ, ის შეგრჩება“**. ამ ლოზუნგის მიმდევრებმა დიდი იერიში მიიტანეს შინაურ ცხოველებზე და ფრინველებზე. ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. ერთი თვის საყოფი სურსათ-სანოვაგე ერთ დღისთვის მოამზადეს. ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს ბევრმა პარტიულ ამხანაგებმა, თუმცა ამას ისინი აბრალებენ თავიანთ ცოლებს და ოჯახის წევრებს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ პარტიულ ამხანაგების ოჯახში ქეიფს ადგილი არ ჰქონებია, მხოლოდ ისინი უპარტიო ამხანაგების ოჯახში დადიოდენ და იქ ქეიფობდენ.

აღდგომის ჩატარების კამპანიაში ქალაქს ნხარი დაუჭირა სოფელმაც. სოფ. **რგანის** მცხოვრებლებმა მოინდომეს ძველი ღვინის გასაღება; განძრახვა დამარცხებით დამთავრდა: ღვინომ ყვალა დაათრო, რასაც მოჰყვა ფიზიკური ვარჯიშობა ხანჯლებით და რევოლვერებით; ერთი საიქიოს გაამგზავრეს და ერთიც დასჭრეს. გვერთავ-ცხვირ-პირ დამტვრეულები მრავალია.

არ ბოდვა.

ახალი ამბები

ოზურგეთი

საფინგანის კაბინეტში
გაიმართა დიდი ბრძოლა.
ჭოხნელიძემ მოგვითალა
საფინგანის გამგე კოლა.
კიდევ კარგი, რომ იქ დარჩა
გამთიშველი კილა ჩვენი,
თორემ მაშინ სარემონტოთ
გახდებოდენ ორთავენი.

უშჯობესი იქნებოდა
ფულს არ ვსთხოვდეთ საფინგანსა,
თორემ ფიცხი გამგე არის,
გადაგვჩხავს სადმე ხრამსა.

გავლენიან „ჩელოვეკთან“
საშიშოა ჩაბმა ომში;
იმას უფრო მოუსვენენ,
შენ ამოჰყოფ თავს ორმოში.

—

ტარტაროზო, ეს ამბავი
ახალია ჯერ არ ხნობათ.
დამატებით მოგაწოდებ
საიდუმლოს კიდევ ცნობათ.

ნ. ემსი.

გორი

ჩვეულებრივი ქალაქია. არც ისე დანგრეულია, როგორც გორელებს ჰქონია და არც ისე აშენებული, როგორც ამის შესახებ სწერენ და ლაპარაკობენ.

ხალხს აკრძალული აქვს ქუჩებში გავლა. მართალია ამის შესახებ არ ყოფილა აღმასკომის დადგენილება, მაგრამ მისი დანგრეულ ქუჩების ამონაყარი ქვები ყველა დეკრეტზე და დადგენილებაზე უფრო ძლიერია.

კოოპერატივში გარდა ცხვრის თავფეხისა არაფერი იყიდება. საქონლის შეძენაზე ყოველთვის ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ.

ორი წელია რაც დავტოვე გორი.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა; მაგ. საზაფხულო თეატრი სავსებით დაინგრა; ბაღის ღობე წელს ზამთარში სათბობ მასალად იქნა გამოყენებული. სადგურის ახლოს ამორჩეულია სანაგვე ადგილი, სადაც ადგილობრივი ღორები დიდ აგრონომიულ მუშაობას ეწევიან და სადგურის უკანა ეზო საცდელ მინდვრათ გადაუქცევიათ.

იმ კურთხეულ დილას, როცა მე ჩავედი გორში, ადგილობრივ ღორებს ერთათ თავი მოეყარათ და არხეინად დასეირნობენ სადგურის ბაქანზე. ალბათ მომავალ სადგურის დამთავთავერების გეგმას იმუშავებდენ.

მელა-კუდა.

ძირულა

გიგიენური მოსაზრებით აკრძალულია სადგურში დაფურთხება. ამავე მოსაზრებით ნებადართულია ნახველის გადაყლაპვა, ვინაიდგან სადგურში **არ** არის არც ერთი ჩასაფურთხებელი.

დაჭკა

ბოლჯომი

საშობაოდ დაძინებულმა შრომის ინსპექტორმა, მხოლოდ აღდგომას გამოიღვიძა. ამბობენ—ჰიანურის ხმამ გამოაღვიძაო.

გლეხკომის სასადილო

(აბა ვინ მიხვდებით სად არის ეს სასადილო)

გლეხი. მომიტანეთ, ამხანაგო, სადილი.

მსახური. პირველი სუფი გახლავთ.

გლეხი. მეორე?

მსახური. ჯერ-ჯერობით არაფერი, მაგრამ ხვალისთვის გლეხკომის თავმჯდომარე გვექნება. იმდენი მევალეები ჰყავს, რომ შეუმეელი მაინც არ დარჩება.

ბოლოზა

სუფსა

მამა ბართლომე დილიდან საღამომდე იზეპირებს დავიწყებულ ლოცვებს და იმეორებს სახარებას. რატომო, იკითხავთ—იმიტომ, რომ მამა ბართლომე ამ ახლო ხანათ მოელის თავის დაკეტილი სავაჭრო დუქნის, უკაცრავათ, ეკლესიის ხელახლა გაღებას.

ვასმახ

ფოთი

ზაკტპომ შეიძინა დიდძალი პარფიუმერია.

პურის ფასი დაეცა. ამ ჟამად პური სრულიად აღარ მოიპოვება ზაკტპოს მაღაზიაში.

გოკო.

დმაბზუ—ცხემლის-ხიდი

დვაბზრუს და ცხემლის ხიდს შორის ურთიერთობა მეტად გამწვავდა. დვაბზუმ ცრემლის-ხიდიდან გაიწვია თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი და ომის გამოცხადებას აპირებს. მოსალოდნელია ამ ძველ მეგობრებს შორის შეტაკება მოხდეს. შემოქმედი და ბახვი ქვეშ-ქვეშ იცინიან. დვაბზუელები ფრონტს ამაგრებენ ბ. ღლონტის ეზოში ეკლესიასთან.

ცხემლის-ხიდელების მდგომარეობა მტკიცეა

იქაური

წერილები ტარტაროზის მიმართ

ამხ, ტარტაროზო!

ნება მიბოძეთ მოგმართოთ შემდეგი: თქვენი ჟურნალის № 9-ში მოთავსებულია **ოთარ-ბეის** წერილი სათაურით—„ქ. **ზეტაფონი**". სხვათა შორის ავტორი ეხება ადგილობრივ **ელექტრ**ონს და გვისაყვედურებს, რომ ღამით სინათლე არ არისო. რომ ეს ასეა ამას ჩვენ არ უარყოფთ, მაგრამ რომ ეს ასე, უნდა იყოს, ამასაც ვადასტურებთ.

გამიგონეთ--მოგახსენოთ: ღამით პატიოსანი ადამიანი თავის სახლში წევს და მოსვენებას ეძლევა.

ასე რომ ღამით სინათლე კარგი კაცისათვის საპირო არ არის. ეს გარემოება ალბათ არ მოსწონთ იმათ, ვინც ღამით ბნელ საქმეებს აკეთებენ. ქურდობის და ბოროტმოქმედების მოსასპობად სიბნელე პირველი საშუალებაა. ქურდი ღამით გზას ვერ გაიკვლევს და თუ ქურდობა მაინც მოახერხა, სიბნელეში თავს მიამტვრევს სწორედ იმ ბოძებს, რომლებიც ჩვენ ელექტრონისათვის დავასვეთ და რომლების შესახებ ასე გვისაყვედურებს წერილის ავტორი.

ჩვენს ამ მოსაზრებას, თავისი წერილიდან ოთარ-ბეიც ამართლებს. იგი სწერს: „ლამფა არც ერთ მათგანზე არ იყო, ალბად ბოროტ-მომქმედებ მოუპარავთო". აქედან ცხადია, რომ როცა სინათლე იყო, ქურდობაც მაშინ ყოფილა, ეხლა კი როცა ლამფა არ არის და ბნელა, მოსაპარავიც არაფერია და ქურდობაც ნაკლებია.

აღმასკომის თავმჯდომარე **მოწიფელი.**

ამხ. ტარტაროზო!

თქვენს ჟურნალში (ნომერი არ მახსოვს) მოთავსებულია თქვენი კუდის წერილი: „ცოდვის კუთხე", რომელიც მეხება მე. ის ბოალდება, რომელსაც ავტორი მიყენებს, მე ჩავიდინე სრულიად დაფარულად და ისიც კლიტულშ ; ასე რომ—არა ბგონია ვინმეს დაენახოს. ამიტომ თქვენს კუდს ვიწვევ სასამართლოში, სადაც უნდა დამიმტკიკოთ ეს ბრალდება.

სადგრის უფროსი **მამალი.**

ბატონო და შენი ჭირიმე
ტარტაროზო.

ჩვენ,—ქვემორე ამაზე ხელისმომწერნი, ათი მოლარე ქალი, აქეთინებული და აცრემლებული მოვითხოვთ „ცოდვის კუთხე"-ს ავტორისაგან გარკვევით ვითხოვოთ—გვეხება თუ არა ჩვენ მამლის ბრალდება. ამ ამბის შემდეგ ჩვენ დავკარგეთ სიმშვიდე და ნახევარი ფუთი ქონი.

დეე, ჩვენმა უმანკო ცრემლებმა გაალბოვოს მისი გული და შეგვიბრალოს აცრემლებული.

ათი მოლარე ქალი.

სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი 604 პირველი სტამბა პოლიგრაფიულ გ. ს. მ. უ. ს. ტირაჟი 12.000.